სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და ხიდობს 6—7 მ. ე „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 1 მან. 50 კაპ.

ქართული თეატრი

კვირას, 25 ნოემბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან და ძ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

დაძმა

დრამა 5 მოქმედ. ვ. გუნიასი

II

ქალბ. ტასო აბაშიძის მონაწილეობით

ბარაქალა მასწავლებელო

ვოდ. 1 მოქ. თარგ. მ. მ. საფაროვ-აბაშიძისაგან.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

ახალი წიგნები

მოლიპულ გზაზე

მოთხრობა ანასტასია ერისთავი ფასი ერთი მანათი.

მწარე ფიქრები

ლექსები დუტუ მეგრელისა, ფასი ერთი აბაზი.

ვინც ათზე მეტ ცალს დაიბარებს წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიიდან 20% დაეთმობა.

(10—8)

ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა სენით ავადმყოფნი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ვ. თ. კოგანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В Топуріа въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

—

*** ქართული წარმოდგენა. კვირას, 28 ნოემბერს, დანიშნულია ქართული წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი სატფილისო არტისტები: ბ-ნი ძ. ყიფიანი და ქალბ. ტასო აბაშიძე. წარმოადგენენ ვ. გუნიას 5 მოქმედებიან დრამას „და-ძმა" და 1 მოქ. ვოდევილს „ბარაქალა მასწავლებელო".

*** საიუბილეო პარაკლისი. კვირას, 21 ნოემბერს, საქართველოს ეგზარხოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ საქალებო საეპარქიო სასწავლებელში წირვის შემდეგ პარაკლისი გარდაიხადა. ამ დღეს ეგზარხოსმა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს იოანნიკეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა.

„ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ, თქვენის სასულიერო სამსახურის 50 წლის შესრულების სახსოვრად და ძის ქალთა განათლებაზე თქვენის მწყემს მთავრულის მზრუნველობის მოსაგონებლად, გარდასწყვიტა რა ტფილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთება, მთხოვა მეშუამდგომლენა სასწავლებლისათვის იოანნიკის სახელის წოდების შესახებ და მომეხსენებინა ეს გარემოება თქვენის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობისათვის სასწავლებლის დღეობის დროს.

*** ვარსავ ა"ზა. ხელ-ახლად გავიდა ქ. ყარსში კომისია ჩასაბარებლად რკინის გზისა.

*** სათეატრო ბენეფისი კარენინისა. დღეს, საოპერეტო თეატრში იქმნება არტისტი კარენინის ბენეფისი. წარმოადგენენ მხიარულ ფარსს „კონტროლიორი დასაძინებელ ვაგონებში".

*** ქალაქის გამგეობის დადგენილება. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: დაევალოს გამგეობის ყველა წევრთ, რომ იმ თხოვნების მიღების დროს, რომელიც ქალაქის ადგილებს შეეხება, მოსთხოვონ მთხოვნელთ, რომ მათი ხელის-მოწერა თხოვნაზედ ნოტარიუსთა წესით იქმნას დამოწმებული.

*** წყაროების წყლის გამოკვლევა. 22 ნოემბერს განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ს. წილკანის მახლობლად მყოფი წყაროები და გამოარკვია, რომ ეს წყაროები საოცრად მდიდარია წყლით.

*** დანიშნულებანი. უწმ. სინოდის ბრძანებით დანიშნულ იქმნენ: ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ნიკიფორე ბაძინაიშვილი—თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად; სასულიერო აკადემიის კანდიდატები: ნიკიტა თალაკვაძე—გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ივანე მენშიკოვი—ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ.

*** ტფილისის საავად-მყოფოზედ. ქალაქის გამგეობამ უდროოდ ასეთ მიხეილის საავადმყოფოს გადამდებ სენათა განყოფილების გაფართოება, რადგან ქუნთრუშით ავადმყოფობას ჯერ არ მიუღია საშიში სახე. და ამასთან მიანდო საამშენებლო განყოფილებას გადამდებ სენათა მესამე ფარდულის პროექტის შედგენის დაჩქარება.

*** ნავთის ტარიფზედ. გარდაწყვეტილია, რომ საზღვარ-გარეთ გასაზიდის ფუთი ნავთის ტარიფი მომატებულ იქმნას 1900 წლის 15 იანვრიდგან 16 კაპეიკამდე.

## სასამართლოს მატიანე

### ი. ნ. ჯორჯაძის საქმე.

ტფილისის ოლქის სასამართლო 13 მომავალს დეკემბერს გაარჩევს ქ. თელავში თავ. ი. ნ. ჯორჯაძის საქმეს რომელსაც ბრალდება გლეხ-კაცის მოკვლა. ამ საქმეში პასუხის გებაში გარდა ჯორჯაძისა მიცემულნი არიან მოკლულის

გლეხ-კაცის ცოლი და ერთი ჩაჩანი. დამნაშავეს დაიცავს ნაფიცი ვექილი გრუზენბერგი.

—

### სალიტერატურო საქმე.

ტფილისის ოლქის სასამართლოში **24-ს** ამ თვეს დანიშნული იყო გარჩევა სალიტერატურო საქმეჲ. ბრალი ედებოდა გაზეთ „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორს ი. გ. ხეჩატუროვს და ამავე გაზეთის თანამშრომელი ს. კ. მიხაილოვს ბეჭდვით ცილის წამებაზე. ეს საქმე დაიწყო კავკავის საერო სასწავლებლების დირექტორის ბ. გრუშევსკის საჩივრით. საქმის გარჩევის დღეს არც ერთი მოწვეული მოწამე არ გამოცხადდა, რისთვისაც საქმე გადაიდო გასარჩევად სხვა დროისთვის.

## სახალხო ჰიგიენა

—

საჭმლის გაფრთხილება. პირველი საქმე არის საჭმელი, ე. ი. ის ნივთი, რომელიც შედის ადამიანის სტომაქში და მერე მთელს სხეულს ჰკვებავს, ამიტომაც საჭმლის ხმარებაში დიდი სიფრთხილე ჰმართებს კაცს. ამ საჭმლის არჩევაში, რა თქმა უნდა, დიდი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითოს კაცის ზნე-ხასიათს, ყოფა-ცხოვრებას, ჩვეულებას, გემოვნებას, ხნიერობას და სხვ. მაგრამ უმთავრესი დამაბრკოლებელ მიზეზად რიგიანის და ზომიერის ცხოვრებისა უნდა ჩაითვალოს შეძლება. მშიერი კაცისათვის წესიერ ჭამას ადგილი არა აქვს, სწორედ ისე, როგორც შეძლებულმა და მდიდარმა კაცმა ზომა არ იცის ხოლმე ჭამა სმაში.

ყოველს დროებას და ხანს თავისებური, თავის ბუნების და დროის შესაფერი საჭმელი ეჭირვება. ბავშვს, რა თქმა უნდა, არგებს და ნოყიერად ჰკვებავს დედის ან ძიძის რძე, რომელიც ბავშვს საკმარისად უნდა ეძლეოდეს. როცა ბავშვი ცოტა წამოიზრდება და კბილები გამოეჭრება, მაშინ, რა თქმა უნდა, სტომაქიც უფრო გაუმაგრდება, მაგრამ საჭმელად ახალი და მსუბუქი ადვილად მოსანელებელი საჭმელი უნდა ეძლეოდეს.

ბავშვს არ ეჭმევა ხორცი, ყოველთვის სჯობიან წვნიანი რამე, სიცხარეს, სიმჟავეს და სიმლაშეს მოკლებული. რაც შეეხება ყავას, ჩაის და ღვინოს და სხვა ამ გვარს სასმელებს და ტკბილეულებს, ყველაფერი ეს მეტად მავნებელია და ბოლოს ცუდი შედეგის მომგვრელია.

როცა ბავშვი კარგად წამოიზრდება, მაშინ საჭმელიც სხვა ნაირი უნდა. საყმაწვილეშიაც სიფრთხილით უნდა ეძლეოდეს ბავშვს საჭმელი. სხვა და სხვა ჰილპილიანი საჭმელები, ღვინო და არაყი სხვა და სხვა სისხლის ამღვრეველი საჭმელ-სასმელი უნდა აკრძალული იყოს. ყმაწვილები რაც უფრო ცოტას და ხშირად სჭამენ მით უკეთესია. ძალ-დატანება ჭამა-სმაში ან მეტისა ან ნაკლებისა მეტად მავნებელია როგორც ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე ზნეობისათვის საზოგადოდ ყმაწვილებს უფრო არგებთ ნაკლებად ხმარება ხორცისა საჭმელში და ზომიერი წყლის სმა.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**მოსკოვი.** 21 ნოემბერი. ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება, ავად შეიქმნა და ლოგინად ჩავარდა; ტოლსტოის მკვალი ადგას და დიდადა ჰგრძნობს ტკივილს. ამ ჟამად ავადმყოფი საშიშს მდგომარეობაში არ იმყოფება. ესევე სატკივარი ტოლსტოის წინადაც ჰქონია; უწამლია ზახარინს.

**ყაზანი**. დღეს სტუდენტთა დამხმარებელმა საზოგადოებამ გაჰმართა სასადილო 150 კაცისათვის იმ სახლში, რომელიც უანდერძა პროფესორის ვინოგრადოვის ქვრივმა.

**ლორენცო-მარკეზი**. ბურების მთავარ-სადგურიდგან მოსულ ცნობებითა სჩანს, რომ ჟუბერს, რომელმაც ესტკორტიდგან დაიწია და თან დიდი ჯოგი მსხვილ-ფეხა საქონელი წაასხა, განზრახვა აქვს თავისს ძალას ლედი სმიტთან მოუყაროს თავი. იქავე მიუტანიათ მესამე ზარბაზანი, რომელსაც ეწოდება „Franchise“. ბურებმა დაუყოვნებლივ დაუწყეს სროლა იმ დახურულს შენობას, რომელშიაც ინგლისელები იმყოფებოდნენ. ერთი ყუმბარა, როგორცა სჩანს, ტყვია წამლის საწყობს მოჰხვდა, რადგან იგი მაშინვე აფეთქდა. გამოჩნდა, როგორ გამოდიოდნენ ინგლისელები სიმაგრიდგან.

**ლონდონი**. როგორც დეპეშით აუწყებენ „Morniug Post“-ს, 22 ნოემბრის რიცხვით, ვაშინგტონიდგან, —იქაურს იაპონიის ელჩს ბაასი ჰქონია ერთს ჟურნალისტთან იმის შესახებ, თუ იაპონიასა და ჩინეთს შორის რა დამოკიდებულება არსებობს, და განუცხადებია, რომ ამ ორს ქვეყანას შორის ფორმალურად არავითარი კავშირი არ არსებობსო; ჩინეთი და იაპონია დიდად მეგობრულს განწყობილებაში არიან ერთმანეთთან და მზად არიან მფარველობა გაუწიონ ურთიერთს საკომერციო ნიადაგზედ, ხოლო არავითარის ისეთის პირობით არ არიან შეკრულნი, რომ იგი პირობა დიდთა სახელმწიფოთ შეტყობილი არა ჰქონდეთო.

**პარიზი**. გამოცხადებულ იქმნა ვაჭრობის მინისტრის მოხსენება 1898 წელს მკვიდრთა რაოდენობის შესახებ: ამ წლის განმავლობაში დაბადებულა 843,933 სული ანუ 15,174 ით ნაკლები 1897 წ. დაბადებულთა რიცხვთან შედარებით, გარდაცვლილა 81.073, ანუ 59,054 სულით მეტი 1897 წელს გარდაცვლილთა რიცხვთან შედარებით მაშასადამე, დაბადებულთა რიცხვი ჰმეტობს გარდაცვლილთა რიცხვს 33,860 ით.

**ვენა**. დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის პატივსაცემად 26 ნოემბერს იმპერატორი სადილს მართავს.

**პეტერბურგი**. საზღვარ გარეთიდგან დაბრუნდა უავგუსტოესი გენერალ ადმირალი.

**დურბანი**. პრეტორიიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ბურები ჯერ კიდევ დიდის ამბებით ეკიდებიან თავიანთ გამარჯვებას, ისინი ყოველსავე ღონისძიებასა ჰხმარობენ, რომ სატახტო ქალაქს მეტი ძალა მისცენ მტერთან გამკლავებისა და სურსათის და ტყვია წამალს ექვსის თვისათვის იმზადებენ. ესტკორტიდგან მიღებული დეპეშა იუწყება, მოთირიველს მემამულეს, რომელიც ბურებთან ტყვედ ყოფილა და განუთავისუფლებიათ, უთქვამს, რომ ჟუბერი ცოცხალი და ჯანმრთელია, რომ ტუგელუზედ გამართული რკინის ხიდი დანგრეულია, ხოლო ტელეგრაფის მავთულები კი უვნებლად არის დატოვებული. მეორე ხიდი, რომელიც საზოგადო სახმარებელია, არ არის დაზიანებულიო.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ხსენებულ გამგეობის თანადასწრებით 28 მარტს 1900 წელს მოხდება ვაჭრობა საქალაქო შენობის, (უწინდელის აბესალომოვის სააგარაკო შენობისა) ეზოთი და მიწით, რომელიც არის ზომით 203 კვადრატნი საჟენი და იმყოფება დაბა ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ პარკის მახლობლად ვაჭრობა მოხდება როგორც სიტყვიერად ისე დაბეჭდის კონვერტებითაც. ამ შენობასთან გაიყიდება აგრეთვე მთელი საძრავი ქონება, რაც ამ შენობაში იმყოფება. ეს ქონება არის: მებელი და ჭურჭელი ყოველნაირი სტოლოვოისა, კუხნისა და აგრეთვე ჩაისა. ეს მიწები ეკუთვნის შენობას იმ წესის და კანონის ძალით, როგორც სხვა სააგარაკო შენობები სარგებლობენ მიწებით. ეს წესი და კანონი დამტკიცებულია კავკასიის ნამესტნიკისაგან 22 დეკემბერს 1851 წელს.

მსურველთ, ვისაც ამ მამულის შეძენა უნდათ, შეუძლიანთ საქმეები გაშინჯონ გამგეობის კანცელარიაში მუდამ დღეს გარდა სადღესასწაულო და უქმე დღეებისა დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდის.

დაბეჭდილი კონვერტები მიიღება დილის 12 საათამდის 28 მარტის, 1900 წლისა. კონვერტებში უნდა აღნიშნული იყოს სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმ პირისა, რომელსაც სურს ამ მამულის შეძენა. კონვერტში უნდა იდოს ზალოგათ 2,000 მანეთი, უნდა აშკარად იყოს გამოცხადებული რამდენს იძლევა ფასს ამ შენობაში: იმ პირთ, რომელნიც ქ. ტფილისში არა სცხოვრობენ, შეუძლიანთ გასაშინჯათ საქმის მოთხოვნა, რ[...]მელიც მაშინვე გაეგზავნება.

(5

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქცია[...]
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

### „ბერანჟე

ქართულად

ვ. გვაზავას თარგმანი.

ფასი 40 კაპ.

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის ;გამოცემული შეიცავს 4 საუკეთესო ლექს და0ს ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 НОября 1899 г. სტ. („ცნ. ფურ.“) ვ. ჯუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნ[...]